კლდე

№ 38

14 ქრისტეშობის. 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9—3 საათამდე.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილის., Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

გერმანელები გარბიან. ნახ. ლოდიგინისა.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. საქართველო და სომხეთი.—ა.—სა.
2. მოუსვლობა.—რ.—გესი.
3. ვედრება (ლექსი). — მთის ნიავისა.
4. გერმანია და გერმ ნელები. —
5. ქართველთა შორის პორნოგ-რაფიის მომსპობი საზოგა-დოება.—ფარსმან-ფარუხისა დ კ.ძისა.
6. სოფლის გასაჭირი.—ქართ-ლელისა.
7. პრესა
8. ქრონიკა.
9. ფაუსტი.—ა. შ-ისა.

საქართველო და სომხები

ჩვენში არ მოიპოვება არც ერთი პარტია, არც ერთი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც სათანადოთ არ ეპყრობოდეს ოსმალოს სომხეთის საკითხს. ჩვენ, ქართველებს, არამც თუ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა სომხეთის თავისუფლებისა, პრინციპიალურად მომხრენიც უნდა ვიყოთ და ეს ასეც არას. და თუ მაინც რამე გაუგებრობა არსებობს ჩვენსა და სომხებს შორის ამ საკითხის გამო, ეს უნდა მიეწეროს ზოგიერთების გაუგებარ ხელს, როგორც ჩვენის, ისე სომხრების მხრიდან. ამას წინად ქართულ პრესაში გამოითქვა აზრი, რომ სომხეთის თავისუფლება, სხვათა შორის, იმისთვისაც არის ქართველებისთვის ხელსაყრელი, რომ შეამცირებს სომხობას საქართველოშიო. გვგონია, რომ ასეთი აზრი სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული. მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი და ერთმა სომხურმა გაზეთმა გამოაცხადა: ჩვენ კავკასიიდან ფეხსაც არ დავსძრამთო. მართალიც რომ იყოს ასეთი განცხადება, ვფიქრობთ, რომ ასეთი სიმართლე ჯიბრით არის ნათქვამი. უპირველესად ყოვლისა ასეთი განცხადება შესწორებას მოითხოვს. ჩვენ ძალიან ნაკლებ გვაინტერესებს—წავლენ, მართლა სომხები კავკასიიდან თუ არა. იმის გარდა, რომ შეუძლებელია ეჩმიაძინის კავკასიიდან ოსმალოს სომხეთში გადატანა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ სომხები კვლავ იქნებიან კავკასიაში—ჩვენ სამშობლოს მთელი კავკასია არ შეადგენს და ძალიან გულგრილად შეგვიძლიან ავიტანოთ ის ფაქტი, რომ ერევნის გუბერნიაში, მაგალითად, კვლავ იქმნებიან სომხები. მაგრამ შეამცირებს თუ არა სომხების შემოსევას საქართველოში განთავისუფლებული სომხეთი, ეს ჩვენთვის დიდი საკითხია და უფლება გვაქვს ამის შესახებ რამე იმედი გამოვსთქვათ.

თავი დავანებოთ შთაბეჭდილებას, რომელიც შესაძლებელია მრავალნაირი იყოს და ვიკითხოთ მხოლოდ ერთი: რა გავლენას მოახდენს განთავისუფლებული სომხეთი საქართველოზე? ახლა საქართველოში სამასი ათასი სომეხი სცხოვრობს, რომლის უმრავლესობა ქალაქებში ბინადრობს. შეიძლება რამე იმედი ვიქონიოთ, რომ ნაწილი ამ სომხობისა თავის სამშობლოს მიაშურებს? გვგონია, რომ საფუძველი ამ იმედისა არსებობს. ნუ იფიქრებენ სომხები, რომ ჩვენი მსჯელობა მათთვის სავალდებულოა, მაგრამ მათ უფლება უნდა მოგვცენ ისეთ დროს, როცა ჩვენ თვალწინ ასეთი დიდი საკითხი სწყდება, სწორედ ასე ვიმსჯელოთ. „კავკაზსკოე სლოვო“-ს განცხადება, რომ თბილისის თვითმმართველობის ხმოსნები სომხეთში არ წავლენო, პასუხი არ არის ჩვენს შეკითხვაზედ. ბატონი ხატისოვი და ბატონი დოლუხანოვი რომ სომხეთში არ წავლენ, ეს ჩვენ კარგად ვიცით. სამშობლო ქვეყანაში დედაენის უცოდინართა მისვლა იგივეა, რომ უცხო ქვეყანაში უპასპორტოთ მიხვიდე. არ წავლენ იქ არა მარტო სომეხი ხმოსნები, არ წავლენ სომეხი ადვოკატებიც. რადგანაც მათი ერთად ერთი ენა რუსულია, რომლითაც თავისუფალ სომხეთში მართმსაჯულებას სამსახურს ვერ გაუწევენ. მაგრამ სომეხ ხმოსნებისა და ადვოკატების გარდა არსებობს ჭეშმარიტი სომეხი ხალხი, პატრიოტები შეგნებით, სომხები იდეურად, რომლებიც თავის უწმინდეს მოვალეობად ჩასთვლიან ყოველი კუთხითან იმ ქვეყანას მიაშურონ, იმ თავისუფალ სამშობლოს, რომლისკენაც გზა ასე სისხლიანი და ეკლიანი იყო. თუ არ ეს, მათი და მათ მამა-პაპათა ბრძოლა მოკლებული იქმნება უდიდეს სიტკბოებას.

მაგრამ ისინი წავლენ არა მარტო იმიტომ, რომ ეს სიტკბოება იწვნიონ, ამას მოითხოვს თვით რეალური ინტერესები მათი სამშობლოსი. მომავალ თავისუფალ სომხეთში ყველაზე ნაკლები თვით სომხები იქნებიან. ამას ამბობენ ის ციფრები, რომელთა გასაბათილებლად სომხებს ჯერ არ უზრუნვიათ. ევროპის დიპლომატიამ თუ გინდა კიდევაც შექმნას სომხეთი უსომხებით, არა გვგონია ამან პატიოსანი სომხები დააკმაყოფილოს და ისინი ეცდებიან დიმპლომატიური ფორმულა რეალურ ცნებად აქციონ და ისეთი სომხეთი შეჰქმნან, რომელიც შეეფერება მათ ეროვნულ იდეას. სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრება სომხეთისა, ვაჭრობა და მრეწველობა, მეურნეობა, სწავლა-განათლება და მთელი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება მრავალ ძალებს მოსთხოვს სომხის ხალხს და პირველი რაც უნდა შექმნას სომხეთმა, ეს არის მაღალი კოშკი და დიდი საყვირი, რომ თავის გაბნეულ მოქალაქეებს მოუწოდოს. საიდან უნდა მოუწოდოს მან ამ მოქალაქეებს? ყველა იმ ქვეყნებიდან, სადაც-კი სომხები სცხოვრობენ და საქართველოც ერთი იმ ქვეყანათაგანია, სადაც სომხები სცხოვრობენ და რომელიც ყველაზედ ახლო სდევს სომხეთზედ.

წავლენ თუ არა საქართველოდან სომხები თავის ახალ სამშობლოში? გვეუბნებიან რომ არა. ამ

უარს საპატიო მიზეზებში ახვევენ, მაგრამ ასეთი განცხადება ჩვენ მაინც უცნაურად მიგვაჩნია. უმაღლესი ეთიკა თანამედროვე მოქალაქობრივობისა ის არის, რომ ადამიანი თავის ქვეყნის ქვეშევრდომი იყოს. და ეს გრძნობა რომ სომხის ხალხში არ იყვეს, მაშინ არც იბრძოლებდა თავისუფლებისთვის. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სომეხი, რომელიც სიამოვნებით არ იცხოვრებდეს თავის ტერიტორიაზედ. მაგრამ, გვეუბნებიან რომ მას ბევრი ინტერესი აქვს თავის სამშობლოს გარეთაც, იგი მიბმულია სხვა ქვეყნებთან ნივთიერად. კერძოდ საქართველოზედ უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი წარმოდგენა გადამეტებულია. ჩვენ ახლა ხელთ არა გვაქვს ზედმიწევნით ცნობები სომეხთა რაოდენობისა და მათი მფლობელობისა საქართველოში. მაგრამ ჩვენ ვიცით რა ხასიათისაა რიგორც ეს რაოდენობა, ისე ეს მფლობელობა. თავი რომ დავანებოთ იმ სომხებს, რომელნიც ისტორიულად სცხოვრობენ საქართველოში, რაც მათ საერთო რიცხვის უმცირესობას შეადგენს—უმრავლესობა ისეთ ელემენტს წარმოადგენს, რომლის ბინადრობა იმ პროფესიით განისაზღვრება, რომელსაც მისდევს იგი. თბილისში გადმოსახლებულ სომხის ნივთიერი ინტერესი, რომელიც ან მეწაღეობას მისდევს, ან ზეინკლობას, ან ნავთით ხელზედ ვაჭრობას და მეეზოვეობას, ისეთი ღრმა ინტერესი არ არის, რომ არ შეიძლებოდეს, ამის გამო, მათი თბილისიდან დაძვრა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ სომხის პატრიოტებმა მათთვის მართლაც, მოაწყონ ახალ სომხეთში სამუშაო. რაც შეეხება მდიდარ სომხებს, რომლებსაც ძვირფასი სახლები აქვთ თბილისის ქუჩებზედ—მათ შესახებ აშკარად შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ არავითარ წარმოებას ისინი საქართველოში არ მისდევენ. ისინი ან ბაქოს ნავთით იკვებებიან, ან მსხვილი ვაჭრობით. მაგრამ როგორც ბაქო არა სდევს საქართველოს საზღვრებში და არ არსებობს კომერციული წესი, რომ ბაქოს ნავთის მწარმოებელი უსათუოდ თბილისში სცხოვრობდეს, ისევე მსხვილი ვაჭარი მუდამ თავისუფალია ადგილის გამოცვლაში. საჭიროა მხოლოდ რომ ამას მართლაც მისი ვაჭრული ინტერესი მოითხოვდეს. ამ მხრივ კი ჩვენ არა გვგონია, რომ ახალი სომხეთი ნაკლებ სავაჭრო ინტერესს წარმოადგენდეს პატრიოტ სომეხ ვაჭრისთვის. თუ ასეა საქმე ქალაქებში, ასევეა თითქმის სოფლის მეურნეობაში. საქართველოში ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მსხვილ სომხურ მეურნეობას. რაც შეეხება მიწის მფლობელობას, იგი სხვა და სხვანაირია და, რაც უფრო საყურადღებოა, ეროვნულ-სომხური მნიშვნელობა ამ მფლობელობას არა აქვს. სომხური მფლობელობა პარცელიალური ტიპისაა საქართველოში და იქ კი, სადაც სომხები კომპაქტურ მასას წარმოადგენენ, ეს მფლობელობა საკუთრებაზედ არ არის დაფუძნებული, ასე მაგალითად, ახალქალაქის მაზრაში, სადაც მთლად სომხები სცხოვრობენ—მიწა სახაზინოა. ნუ თუ, თუ კი ახალქალაქის სომხებს, რომლებიც სულ მოკლე ხანში დასახლდნენ აქ, ვინმე საკუთრებას გაუჩენს სომხეთში—ისინი არ ირჩევენ იქ წასვლას?

ყველა ამ მოსაზრებას დიდი გამასწორებელი მნიშვნელობა აქვს იმ ნაკლისთვის, რომელიც უსათუოდ ზედ დაერთვის პირველ ხანებში სომხეთის ავტონომიას. ეს ნაკლი კი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, რომ ახლანდელ მოსახლეობის მიხედვით, სომხეთში თვით სომხები უმცირესობას შეადგენენ. ამას ანგარიშს გაუწევენ სხვა სახელმწიფონი და ანგარიში უნდა გაუწიონ თვით სომხებმაც. თუ ეს ნაკლი გამოსწორებული არ იქმნება—ჩვენ სომხეთის თავისუფლება ვერ წარმოგიდგენია. სახელმწიფოს მოწყობა რომ ადვილი იყოს უხალხოთ, ებრაელ მილიონერებისათვის სულ უპრალო საქმეს წარმოადგენს პალესტინის ყიდვა. და სიონისტების გეგმაც სწორედ იმიტომ დაიმსხვრა, რომ პალესტინაში წასვლის მსურველი ცოტა აღმოჩნდა ნუ თუ სომხებიც ამას ჩაიდენენ?

ა—ი.

მოუსავლობა

გაზეთებს ყოველდღე მოაქვთ საშინელი ამბები საქართველოს ყოველი კუთხიდან, საცა ხალხს შიმშილი მოელის. იმერეთი, ქართლი და კახეთი ერთგვარად არიან დაზარალებულნი როგორც მოუსავლობით, ისე ომისა გამო.

გურიასა და სამეგრელოში წვიმებმა წაახდინეს ის მცირე მოსავალიც პურისა და სიმინდისა, რომელიც ჩვეულებრივზე ნაკლები მოვიდა წრეულს. ომში გაწვეულთა ოჯახები, უმუშახელოდ დარჩენილნი, ვერ ასწრობდნენ ჭირნახულის დაბინავებას და ყველა ამ მიზეზის გამო ჩვეულებრივი მოსავალი 10—20 პროცენტამდე დაეცა; იქ, სადაც გლეხს 200—300 ფუთი სიმინდი უნდა მოსვლოდა, მთელი ოჯახის გამოსაკვებად 20—30 ფუთი შერჩა ხელში. ზოგიერთ სოფელში, უფრო ღარიბს ოჯახებში ამაზედაც ნაკლები შემოვიდა და მთელს ამ მხარეს შიმშილობა მოელის სულ ცოტა ხანში.

ასეთ საერთო კრიზისს ზედ დაერთო ღვინის გაყიდვის აკრძალვაც, რამაც მთელი ქუთაისის გუბერნიის მეურნეობა ერთი ხელის მოსმით გაამტვერა. იქ, სადაც ასი, ათასი ფუთობით იყიდებოდა ყურძენი თუ ღვინო, წრეულს ბაზარში დაინახავდით რამდენიმე დღის განმავლობაში ტყუილად მდგომ ურმებს, ყურძნით დატვირთულებს,—რადგან მყიდველი არსად იყო და ურემი, ხარები, პატრონი იძულებული იყო მომცდარიყო და გროშის ფასადაც ვერ გაეყიდნა თავისი ნაოფლარი; წვიმაში და გარედ ყოფნის დროს კი მთელი ეს სარჩო—ყურძენი ფუჭდებოდა და ლპებოდა. ასეთ სურათებს მრავლად შეეხვედრივართ თვით ქუთაისშიაც. ღვინის აკრძალვამ თითქო სიცოცხლეც აუკრძალა ქუთაიურებს, რადგან დიდძალი ხალხი ღვინოსა და ყურძნიდან აღებული ფულით იკვებებოდა, სხვა შემოსავლის უქონლობისა გამო. აუარებელი გაყვანილი მუშა, ყადაღის დადება ერთად ერთ სარჩოზედ და ბუნებრივი მოვლენანი, თითქო პირი შეუკრავთო, მძიმედ დააწვნენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას.

არა ნაკლები უბედურობა ეწვია კახეთსაც. რაღა თქმა უნდა რომ ომმა აქედანაც დიდძალი მუშა ხალხი გაზიდა და ხელი შეუშალა დროზედ და კარგად მოეველოთ თავიანთ მოსავალისათვის. ვინ არ იცის, რომ კახეთი განსაკუთრებით ღვინის ქვეყანაა, რომ იქ ოციათას დესეტინაზე მეტი ვენახია და 3—4 მილიონ ვედროზე მეტი ღვინო მოდის. მთელ ამ მოსავალმა მრავალი ჭირი გამოსცადა წრეულობით. ჯერ იყო და სეტყვამ გაანადგურა მრავალი ვენახი. ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობები მარტო თელავის რაიონისა და იქიდანაც ნათლადა სჩანს თუ როგორ დააზარალა სეტყვამ კახეთი. მაგ. წინანდალში ზარალი იყო სულ 84 ათასი მან. აქედან საუფლისწულო მამულისა—30 ათასი მან. კონდოლში—45,190 მან., კისისხევში—74,000 მ., ვაჩნაძიანში—19,500 მან.—სულ 250,000-მდე მანეთისა. და ეს, როგორცა ხედავთ, სულ რამდენიმე სოფელში. მართალია, სხვა რაიონები ასე მძიმედ არ დაშავებულან, მაგრამ სხვაგანაც შესამჩნევად დაზარალდა ხალხი. ამას მოჰყვა ომიც თავისი უცნაური შედეგებით და მთელი კახეთი აუტანელ გაჭირვებაში ჩააგდო. მთელი ცხოვრება უნდა შეწყვეტილიყო, რადგან ერთად-ერთი სახსარი—კახური ღვინო—აკრძალეს გასაყიდათ.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, რომ ღვინის აკრძალვა გამოწვეული იყო უბრალო გაუგებრობით, მაგრამ დღევანდლამდის ეს გაუგებრობა ლოდივით აწევს გულზედ ღვინის მეურნეს. ან რას მიაღწიეს ამ აკრძალვით? რუსეთში არყის მსმელებს ათასი სხვა საშუალება გამოუგონიათ დასათრობად და ყოველდღე გაზეთებს მოაქვთ ამბავი, რომ იქ სვამენ დენატურატს, პოლიტურას, ოდეკოლონს, თამბაქოს ნადუღს და ათასგვარი სისაძაგლით იწამლავენ თავს. ამავე დროს ყველგან სწარმოებს ჩუმად გაყიდვაც ღვინისა, რადგან ყოვლად შეუძლებელია თვალყურის დევნება იმ აუარებელ ხალხისათვის, რომელიც ღვინითა და არყის ვაჭრობით ირჩენდა თავსა. შორს რომ არ წავიდეთ, თბილისშიაც ძრავლად შეხვდებით მთვრალებს და აქედანაც უნუგეშო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ქურდ-ბაცაცები და ბოროტ-მოქმედნი ახერხებენ თავიანთ ჯიბის გასქელებასაც კი უკეთ, ვიდრე ომამდე და პატიოსანი გლეხი ან ვაჭარი კი პირში ჩალა გამოვლებული რჩება. ერთი ხელის მოსმით ადამიანთა ზნეობის გარდაქმნას ყოველთვის ასეთი შედეგები მოსდევს.

მაგრამ დაუბრუნდეთ კახეთს. სად უნდა წავიდეს იმოდენა ღვინო და რითი უნდა გამოიკვებოს ისედაც დაცემულმა, უმუშახელოდ დარჩენილმა გლეხმა? ისევ უნდა ჩარჩებს, მოვახშეებს და ათასგვარ ქურდ-ბაცაცას ჩაუვარდეს ხელში რომ დღეს მაინც არ მოკვდენ შიმშილით, რაკი ხვალეს იმე-

დით არავინ ძღება. ასეთ უბედურებაში, კრედიტი მაინც უნდა გაეხსნათ ფართოდ გლეხებისათვის, რომ თავი შეენახათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთი საქმე არავის უკისრია და კახეთსაც ისეთივე შიმშილი მოელის, როგორც იმერეთს.

დარჩა ქართლი. მაგრამ ქართლი ყოველთვის იყო და არის ყველაზედ გაღატაკებული და დაცემული, რადგან ეს დედა-გული პურის მოსავლისა გამოიფიტა და ათასგვარი დახლართული პირობების გამო სრულიად დაჰკარგა სახელიც კი პურიანობისა, არამც თუ სახრავი. ქართლის სოფლები მეტად ღარიბნი არიან შემოსავლით და გარე სამუშაოთი იკვებენ იმას, რაც შინ მუშაობით აკლიათ. მუშაობენ რკინის გზაზედ, მიდიან სამკლად, სათოხნად, თუ სხვა რამ მიწის სამუშაოზედ სხვაგან. ყველაფერი ეს მოსპობილია დღესა და მოუსავლობისა და ომის გამო ქართლიც სულს ღაფავს სიღატაკეში. ერთად ერთი მაშველი წყარო ქართლისა—მეხილეობა—რომელმაც უკანასკნელ წლებში კარგად მოიკიდა ფეხი და პროგრესის გზასაც დაადგა,—წრეულ უცებ დიდ კრიზისში ჩავარდა. ომმა შესწყვიტა მიმოსვლა, დასცა ხილის ფასი და ათასობით ფუთი საუკეთესო ხილისა ან ჩალის ფასად იყიდება, ან სულაცა ლპება. აქაც, რასაკვირველია დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს მოწესრიგებული კრედიტი ან ვაჭრობის ორგანიზაცია.

აი, როდესაც საკითხი სდგება იმისა, თუ რა დახმარება აღმოეჩინოს სოფლის მცხოვრებთ და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს—უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს არა საქველ-მოქმედოთ ფულის დარიგებას,—რითაც ხალხი მხოლოდ ირყვნება და მეურნეობასაც არაფრით არგებს,—არამედ **შრომის ორგანიზაციას**. ეს ორგანიზაცია ბევრის მხრით გააუმჯობესებდა ეხლანდელს მდგომარეობას და მომავალისათვისაც მოამზადებდა უკეთეს ნიადაგს განვითარებისათვის. ყველა ის თანხები, რომელიც შეიძლება გადადებული იყოს თავად-აზნაურობისაგან, ერობის კავშირისა თუ მოვაჭრ., უნდა მოხმარდეს საზოგადო სამუშაოთა შექმნას. უნდა შეიქმნას კოოპერატივები ნაწარმოებთა გასასაღებლად, საცა ეს ნაწარმოები რჩება გაუყიდავი, მაგალითად ხილი ქართლისა, თამბაქო შავი ზღვის ნაპირებისა და ქიზიყისა, რომელიც იმისდა მიუხედავად რომ თამბაქო არამც თუ აკრძალული არ არის, არამედ დიდ

გერმანელებისაგან აფეთქებული წყლის კოშკი ქ. ლოძში.

გასავალშია,—მაინც საშინელ კრიზისს განიცდის.

უნდა მოეწყოს ახალი და გაძლიერდეს უკვე არსებული საკრედიტო კოოპერატივები, რომ დახმარება გაუწიონ ისეთ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ დარგებს, როგორიც არის მაგალითად მეღვინეობა.

მაგრამ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საქმეებს, საცა უმწეოდ დარჩენილი მუშები და გლეხები იპოვიდნენ დღიურ სამუშაოს. ასეთი საქმე არის ის საქმე, რომელსაც ემსახურება ხოლმე ერობა. გზების გაყვანა, გაყვანა სარწყავ არხებისა, ხიდების გაკეთება და სხ. ესეთი საზოგადო საქმეები მით უფრო სასარგებლონი იქნებიან, რომ ერთსა და იმავე დროს დაკმაყოფილებენ უმუშევართ ნამდვილის დაფასებით მათი მარჯვენისა და არა სამოწყალოდ გადაცემული გროშებით და მეორეც, მოამზადებენ ჩვენს გავერანებულ ქვეყანაში ნიადაგს უკეთესი მომავალისათვის. დღეს მთელი მეურნეობა შეფერხებულია უგზოობით, უწყლობით და სხ. საქონლის პატრონს უგზოობისა გამო ვერ გაუტანია ბაზარში თავისი ნაწარმოები და ვერ შემოუტანია ბაზრიდან საჭირო ნივთი; უმწეო გლეხს ვერ უხეირებია თავისი მამული, რადგან სარწყავი წყალი არა აქვს და ათასგვარი გადასახადი კი აწევს კისერზედ,—ბატონისა, სახელმწიფოსი, საერობო და სხ და სხ.

მხოლოდ ასეთი რაციონალური საშუალებით შეიძლება ეშველოს რამე დაღუპვის გზაზედ დამდგარ ხალხსა და არა საქველმოქმედოთ გაცემული გროშებით.

ჩვენის აზრით, მთელი ეს საქმე უნდა იკისროს და გაუძღვეს მას—თავად-აზნაურობამ, რადგან საუბედუროდ აქამდის სხვა არავითარი ლეგალური ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს ამ ტვირთის ზიდვა, არ არსებობს. მართალია, დღეს ომია და ყველას ყურადღება აქეთაა მიმართული, მაგრამ თავად-აზნაურობამ საკმარისი წვლილი გაიღო ომისათვისაც; გარდა ჯარში გაყვანილებისა, მან მოაწყო საავადმყოფო, გადასდო ფული, აწყობს სამხედრო რაზმებს, შველის დაჭრილთა და ავადმყოფთა ევაკუაციას და სხ. და სხ.—ყველა ეს უკვე გ ჩარხულია, მუშაობა სწარმოებს დს მაშასადამე მიჩენილი ჰყავს ხალხი. ახლა დროა ვიფიქროთ მეორე მხარეზედაც, იმ მხარეზედ, რომელსაც გაცილებით მეტი უბედურება შეიძლება მოჰყვეს ვიდრე თვით ომსა—ვიფიქროთ შიმშილზედ. თუ ომში კვდება ერთი, შიმშილი ემუქრება ათს და ომიდან დაბრუნებულისათვისაც აუცილებელია მეურნეობის ჯანსაღად დახვედრება რომ საბოლოოდ ცრ გატყდეს წელში და სასოწარკვეთილებას არმიეცეს.

დავეჩქაროთ, ვიდრე შესაძლებელია კიდევ.

რ. გ.

ვ ე დ რ ე ბ ა

არ შემისმინო, არა, ღაღადი;
მტანჯე, ჩამიქრე მზე სხივთა მფენი,
ილტოდე ჩემგან, დაუდნობელი
რკინა შეიქმნეს ეგ გული შენი.
აუწერელი სევდით შემმოსე,
ჯალათად იქეც, მიმეცი იჭვებს;
იყავი ცივი და ეგ ღიმილი
ბედნიერებას ნუ მომანიჭებს.
იყავი ცივი როგორც საფლავი,
საფლავი თვით მეც გამიჭერ ჩემო!
ღრუბლით დაჰფარე ჩემი ვარსკვლავი,
ვგოდებდე, არვინ იყოს გარშემო.
თვალთაგან ცრემლი დამაღვრევინე,
ამაქვითინე, ვით წყლის პირს ძეწნა,
ეკლის გვირგვინი დამადგი თავსა,
ბევრიც გეხვეწო, ნუ გასჭრის ხვეწნა.
რაც ჩემთვის ეხლა ძვირფასი არის,
ის ყველა შენგან დე გაცამტვერდეს,
ვარამი მიძღვენ, გული მშფოთვარე,
ათიათასი ტანჯვით აძგერდეს.
სამოთხის კარიც დამიხშე, ოღონდ
უგრძნობელს, ცივსა, მომიდე ალი
ლანდად მაქციე, რომ გამოვსცადო
სიცოცხლეშივე სიკვდილის ძალი.

მთის ნიავი.

გერმანია და გერმანელები

(დასასრული)

თუ ომია, თქმა არ უნდა. თვალში არავინ გვაკოცებს. ომში გახელებულ ადამიანს ზნეობის კანონებისათვის არა სცხელა. მოჰკლას, ხიშტით ქალა გაუჩეხოს თავის მეტოქეს, —აი სად მიჰქრის მისი გონება! ამ მხრივ, თქმა არ უნდა, არც ჩვენი ჯარის-კაცები იქმნებიან უცოდველნი, ხელს ვერ დავაფარებთ თვით ჩვენს მოკავშირეებსაც. მაგრამ არც ის უნდა დაიფაროს, როქ მტერი ბევრჯელ საჭიროებით გამოუწვეველს სისასტიკეს იჩენს რაც შეეხება სამართლიან მსჯავრს, უნდა შევნიშნოთ, რომ გერმანეია მშვიდობიან ცხოვრების დროს მართალია, მუდამ მზადებაში იყო, მაგრამ მთელ საუკუნის განმავლობაში, თუ ფრანგებთან ომს არ მივიღებთ მხედველობაში, მას ერთხელაც თოფი არ გაუგდია. უცხო ერთადმი სიმპატია-ანტიპატია ისეთივე იყო, როგორც სხვებისა. ანგარებაზეც ესევე ითქმის. სხვაფრივ თუ ვისმეს ჰქონია აზრი უცხო ერთა გამოსარჩლებისა, არც გერმანია დამდგარა უკან. როდესაც სერბები ყარაგეორგიევიჩების მეთაურობით აუჯანყდნენ ოსმალებს, ევროპაში ერთადერთი გიოტე იყო, რომელიც დაფაცურდა, აღივსო უსაზღვრო ჰუმანიური სიყვარულით ამ უცნობ და ნახევრად ველურ ხალხისადმი, რომელთა არსებობა იმდენად უწყოდნენ ევროპიში, რამდენადაც აფრიკელ ქამიტთა ტომებზე გიოტე სწერს პოემას კეთილშობილ ტყვე ქალ აზან-აღაზე და მთელ ევროპის ყურადღების ისარს გადაჰხრის მისკენ. ასევე მოხდა საბერძნეთის თავს; როდესაც ეს უკანასკნელი აჯანყდა დამოუკიდებლობისათვის მთელი გერმანია ფეხზე დადგა, ელლინთა სიყვარულმა ფრთა გაშალა, რაც ასე მშვენივრად დასურათხატდა ვილჰელმ მიულერის მელოდიებში ,,ბერძენთა სიმღერები''. ასეთივე კეკლუცი სიმღერებით შეჰხვდა ჰანრი ჰაინე მადიარების აჯანყებას 1848 წ. შვეიცარელთა ბრძოლას გეორგ პერვეგი უგალობს ჰიმნს... გერმანელებს არც თუ ფრანგებისათვის აუქცევიათ ზურგი, როდესაც იქ გახურებული რევოლიუციის ქარიშხალი არყევდა მთა-ბარს. კლპოშტოკი, გეორგ ფორესტი აღმაფრენით ეგებებიან მას. „სიკვდილი დანტონისა“ დიდებულ ტრაგედიის სიუჟეტად გადაიღო სამწუხაროდ ნაადრევად განსვენებულმა გეორგ ბიუხნერმა. თვით ნაპოლეონი, რომელმაც ბევრი შავი დღე განაცდევინა გერმანიას, პოეტთა საყვარელ გმირადა ჰხდება, მაგ. ბრაგემ, ჰანრი-ჰაინემ და მრავ. სხვ. ხოლო ამ უკანასკნელ დროს ცნობილმა ფონ-გოლცმა დასტამბა წიგნი „გამბეტა და მისი ჯარი“, რაც ისეთ ძეგლად უნდა ჩაითვალოს, რომლის მზგავსი არა თუ უცხოელებს, არამედ თვით ფრანგებსაც კი არ დაუდგავთ თავიანთ სახელოვან დიდ ორატორ-პოლიტიკოსისათვის.

მაშ რად ყოფილა გერმანია დამნაშავე? მხოლოდ იმიტომ, რომ მას უფრო, ვიდრე სხვას, გამოუჩენია სიცოცხლის ძალა. გერმანია გაშლილი საასპარეზო ველია, სადაც მომუშავე ჭიანჭველები დაფუსფუსობენ. გერმანიამ დაიმორჩილა თვით ბუნება. დაკლაკნილ მდინარე რეინს მხოლოდ მან მისცა სწორე მიმართულება, რის გამოც იგი გარდაქმნა ვაჭრობის მთავარ ღერძად. დღეს რეინის ნაპირები აყვავილებულია დიდებულ სავაჭრო და მრეწველ ქალაქებით, რომელთა არსებობა სოფლის სახელებითაც არ იცოდნენ ამ ოცოდე წლის წინად. ბელგიის ვაჭრობა-მრეწველობა ფაქტიურად მათ ხელში დარჩა. რკ. გზამ საუცხოოდ შეჰკრა გერმანია. როგორც ახალი კართაგო გერმანია საშინელი სისწრაფით იზრდებოდა. ზღვა მისი მორჩილი შეიქმნა. ზღვის დედოფალი ინგლისი შურით შეჰყურებდა მის ზრდას, ვერც ის, ვერც მისი დობილი საფრანგეთი ვერა ჰნიშნავდნენ, თუ ეს საოცარი ერი რარიგი სისწრაფით ფეხს იკიდებდა იქ, სადაც მათ წარმოდგენაც არ შეეძლოთ. გერმანია თავის მეცადინეობით სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა მთელს მსოფლიოს ეკონომიურ ნიადაგზე. მისი აფრა, ახალგაზრდა იმპერიის დროშად დაფრიალებს ყოველგან. ვერაფერმა ვერ შესძლო გერმანიის ვაჭრობის ზრდის შეჩერება, ნელ-ნელ, მაგრამ ბეჯითი ნაბიჯით მსოფლიო ბაზრებიდან იგი ერეკებოდა ინგლისსა და საფრანგეთს. ეხლა, ამ ომის დროს, ყველანი ბოიკოტს უცხადებენ გერმანიას. რა თქმა უნდა, ვაჭრობის ღმერთს არც რისხვა სწამს და არც სენტიმენტალობა. არავითარ პატრიოტულ მოწოდებას არ შეუძლიან მისი შეჩერება და თავისთავად იქ შეიჭრება, სადაც კი საჭიროებას დაინახავს. ასე იყო დღემდის. ასევე იქნება ხვალაც, როდესაც ზავი შეიკვრება. გერმანიის სული ვეშაპად გარდაიქმნა. იგი სიტყვებს არ ხარჯავს უბრალოდ იქ, სადაც მოქმედებაა საჭირო. ამ ოცდაათი წლის წინად, მაგ., გვინეის ყურეს ნაპირებს ეწვივნენ გერმანელები. აქ წინად ათასში ერთხელ ინგლისისა და ფრანგების ხომალდებს თუ შეუვლიათ,

თორემ სხვაფრივ იგი ყრუ უდაბნოს წარმოადგენდა. მცხოვრებნი, რა თქმა უნდა, მათთან ეწეოდნენ ვაჭრობას. მაგრამ აი, გაჩნდნენ გერმანელები და სწრაფად მთელი ეს მხარე დაიკავეს. მთელი ფირმების ვაჭრობა ეხლა მათ ხელში გადავიდა.*) სწრაფი და იაფ-ფასიანი ნაოსნობა, საქონლისა და მგზავრების გადაყვან გადმოყვანა გერმანელებისკენ ეწეოდა იქაურ მცხოვრებლებს. ამათაც შეითვისეს მცხოვრებთა გემოვნება და მალე ინგლისისა და ფრანგების ვაჭრები აიძულეს იქაურობა ან დაეცალათ, ან და მათგან შეეძინათ საქონელი. მართლაც, ყველა ეროვნებათა ფირმები დღეს მთელს იმ მხარეში მათგან არიან დამოკიდებულნი, უიმათოთ ველარ გასძლებენ, თუმცა მათდამი ერთი ზიზღის მეტს არას გრძნობდნენ... ასევე ითქმის აფრიკის მეორე მხარეზე. კატანადან მოყოლებული ნილოსის შესართავის გასწვრივ მათ საუცხოვო რკინის გზები გაიყვანეს და ნელ-ნელ კონგოს დაუახლოვეს. ამან კი ის გარემოება შექმნა, რომ ბელგიელებმა კონგოსთან ვაჭრობა ამ გზაზე გადმოიტანეს, რადგან ამ მხრით უფრო სწრაფად გადმოდიოდნენ ევროპაში, ვიდრე ძველი გზით. ეს კი თავისთავად ნიადაგს ამზადებდა, რომ ახლო მომავალში კონგოც სულ მთლად გერმანელთა ხელში გადმოსულიყო, როგორც ანტვერპენი სახელით ბელგიის პორტად ითვლებოდა, ნამდვილად კი გერმანელებს ეკავათ იგი...

მაგრამ კმარა; ამ მცირე მიმოხილვით ჩვენ გვსურდა ჩვენ მკითხველთათვის დაგვენახვებინა, რომ გერმანია და გერმანელები დღეს კაცობრიობას უმაგალითო მაგალითს თუ აჩვენებენ, აჩვენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ დაუღალავი მშრომელნი იყვნენ. არც ერთი დარგი მათ არ დარჩენიათ, რომ წინ არ წასულიყვნენ. მათ მიუკარებლობას და სიცივეს უკიჟინებენ, მაგრამ ავიწყდებათ ერთი რამ, რომ გერმანიას ვარჰა ვარალისათვის არ ეცალა, რომ იგი მუდამ შრომაში იყო გართული, ნაკლები ყვირილი და მეტი საქმე, — აი გერმანელის ლოზუნგი! თქმა არ უნდა, საბოლოოდ გასტეხენ მას, გერმანიას დაიმორჩილებენ, შეიძლება ისიც, რომ საპატიო ზავის ნაცვლად გასრისონ კიდეც, მაგრამ თუ ევროპა და მებრძოლი სახელმწიფონი განაგრძობენ დარდიმანდულ ცხოვრებას და მარტო სიტყვიერ ზიზღით დაიწყებენ ზრდას, გერმანია კვალად აღზდგება მკვდრეთით, დროებითი შემუსვრილი მისი ვაჭრობა კვლავ აყვავილდება და რამდენიმე ათეულ წელში დავინახავთ, რომ დღეს გასრესილი გერმანია კვლავ ჰეგემონიის ლაგამს ამოსდებს პირში თვის მეტოქეებს, რადგან გამარჯვება შრომაშია და ვისაც უნდა გაიმარჯვოს, უნდა იშრომოს.

დ. კ-ძე.

„ქართველთა შორის პორნოგრაფიის მომსპობი საზოგადოება“

ოდესღაც ჩვენში ერთი საზოგადოება დაარსდა.

ეს საზოგადოება ქართულ სოფლებში სადგომებს ქირაობდა, სადაც სხვა უმნიშვნელო ნივთებთან ერთად, სხვათაშორის, ბოთლებსაც ინახავდა.

რისთვის ინახავდა ეს საზოგადოება სოფლის სადგომებში ბოთლებს, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამას თავისი ღრმა მოსაზრება ჰქონდა.

ჰქონდა საზოგადოებას კიდევ რამდენიმე მამული სოფლად.

და თუმცა მამულები შემოსავალს არ იძლეოდნენ, მაგრამ გასავალი დიდი ჰქონდათ, რადგანაც უწმინდეს მოვალეობად ითვლებოდა, გამგეობის ყოველ წევრს ენახულა ეს მამულები და „მოხსენება“ დაეწერა.

ჰქონდა საზოგადოებას, აგრეთვე, რამდენიმე შკაფი, სადაც ქართველი ხალხი ძველ ბარათებს და ყარამანიანის ამბებს აგროვებდა — არ ვიცით რათა!

ყველა ამ საბუთის ძალით საზოგადოებას „წე-

*) იხილე „რუსკ. ვედ.“

გაყინულ წყალში გადასვლა რუსის ჯარისა მდ. რაბაზედ.

რა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ერქვა.

მაგრამ ამ საზოგადოებაში უბრალო ადამიანებთან ერთად, ჭკვიანი ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებას უფრო შესაფერი და გარკვეული სახელი შეჰფეროდა.

და მართლაც...

რათ უნდა რქმეოდა საზოგადოებას ,,წერა-კითხვის საზოგადოება‘‘, როცა ბოთლების შენახვა სხვასაც კარგად შეეძლო და როცა შემოუსავლიან მამულის პატრონი სხვაც ბევრი იყო საქართველოში, თუმცა ამისთვის განათლების მინისტრის სახელს არავინ ირქმევდა.

მაგრამ რა სახელი დაერქმიათ საზოგადოებისა თვის დიდხანს არ იცოდნენ.

და მხოლოდ უბრალო შემთხვევამ გამოიყვანა საზოგადოების გამგეობა ამ ათტანელ მდგომარეობიდან.

მოხდა კი ასე:

იმ დროს, როცა მთელი გამგეობა შეკრებილი იყო, ერთი მათგანი კუთხეში იჯდა და ერთი ძველი წიგნიდან რაღაც ფურცლებსა ხევდა.

გამოირკვა, რომ ძველ ხელნაწერში, ავტორის ხელით მინაწერ პორნოგრაფიასა ჰქონდა ადგილი.

მაღალ ზნეობის ადამიანთათვის პორნოგრაფია შეურაცხმყოფელია, ეს საზოგადო დებულებაა თანამედროვე მორალისა.

უფრო მეტად შეურაცხმყოფელი იყო ეს პორნოგრაფია თვით ხელნაწერის ავტორისათვის, რომელიც ვამგეობის ერთი წევრის აზრით „მაღალი და ფაქიზი ზნეობის ადამიანი იყო.“

ცხადია რომ პორნოგრაფიას ავტორის თხზულებაში და ისიც საზოგადოების წიგნთ საცავში ადგილი არ ექნებოდა.

პორნოგრაფიის უცაბედმა შეხვედრამ საზოგადოების წიგნთ-საცავში, გამგეობის ზოგიერთ გონებამახვილ წევრს მთელი იდეა აღუძრა თავში:

ეჭვი არ არის, რომ პორნოგრაფია სხვა წიგნებში და ხელნაწერებშიაც მრავლად იქნებოდა.

ხელნაწერები კი აურაცხველი იყო წიგნთ-საცავში—მაშ აი მთელი ახალი ასპარეზი მოღვაწეობისა, ახალი მიზანი საზოგადოებისა!

აი, რა მოიფიქრეს საზოგადოების წევრებმა და გადასწყვიტეს:

რათა საზოგადოების სახელწოდება უკეთესად შეეფერებოდეს საზოგადოების დანიშნულებას, ამოიფხიკოს წესდებიდან: ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება‘‘ და და-

ერქვას მას: ,,ქართველთა შორის პორნოგრაფიის მომსპობი საზოგადოება''.

ამ საფუძვლის ძალით მოკლე ხანში ქართულ ნაბეჭდ და დაუბეჭდავ თხზულებიდან განდევნილი იქმნება პორნოგრაფიული ელემენტი და თუ პორნოგრაფია მაინც გავრცელდა ქართველ ხალხში, საზოგადოება დაჰკეტავს თავის სკოლებს და სამკითხველოებს, რათა წერა-კითხვის შესწავლამ ქართველ ხალხს პორნოგრაფიული ნიჭი არ განუვითაროს.

ფარსმან-ფარუხი.

სოფლის გასაჭირი

ამ სისხლის წვიმების დროს, როდესაც ცხოვრება მეტად საშინელი შეიქმნა ყველასთვის, სოფელი სულ მივიწყებული დარჩა. რა ხდება ქვეყნად, რა ამბავია მათ შვილების თავს, რომელნიც ასობით და ათასობით მოაშორეს სოფელს, ეს საიდუმლოებაა და სწორედ აქ იმალება ტრაგედიის ის საშინელი ძარღვი, რომელიც სოფელს უფრო აღონებს, ვიდრე რომელიმე ქალაქს. ვისკენ უნდა იქმნეს სოფლის ყურადღება მიქცეული? რა თქმა უნდა, იმისკენ, ვინც რომ სოფლის ჩირაღდნად ითვლება: სახელდობრ მღვდლისა და მასწავლებლისაკენ, რომელთაც ვგონებ, წერა-კითხვა მაინც უნდა იცოდნენ. მერე ასრულებენ ამ მისიას ეს სოფლის „განმანათლებელნი?“ ცოდვად ნუ ჩაგვეთვლება თუ კატეგორიულად განვაცხადებ, რომ არა! სოფელი ღვთისგანაც მივიწყებულია, ერისგანაც და ბერისაგანაც. მოიარეთ მთელი ქართლი სანიმუშოდ, თუ ოც მღვდელ-მასწავლებელში ნახავთ ისეთებს, რომლებიც სოფელს ჩასდგომოდნენ თავში. რა ბრძანებაა! უმეტეს ნაწილს გაზეთიც არ აქვს გამოწერილი და ვისაც აქვს, ამასაც თახჩაში გაუფენია, რომ ოთახები „პრილიჩნად“ ჰქონდეთ მოწყობილი. ამ გარემოებამ და საზოგადო ინდიფერენტიზმმა სოფლისადმი დაჰბადა უმოქმედობა. სოფლის ვითამდა „განმანათლებელნი“ სასუქ კურატებად გარდაიქცნენ. სოფელს ვნების მეტს არას ჰმატებენ. როგორც ზედმეტი მხალხნი და ცხოვრე ის მინაქაფნი თავიანთ კანში ველარ ეტევიან და თავ-აშვებულ მოზვრებსავით სოფელს იკლებენ, ჰლახვენ მას სპეტაკს ზნე-ჩვეულებას. მე ვიცნობდი და ვიცნობ მრავალ „განმანათლებლებს“, თუ რა საზიზღარ და ბილწ მორიელებად დათარეშობენ. აი, გუშინ მივიღე ცნობა, თუ როგორ სოფელ აგლევში ადგილობრივ მცხოვრებ დავით ჭიღლაძეს ხანჯლით სასიკვდილოდ დაუჭრია მღვდელი მექანაროვი. ამ სოფელს პირადად მე ძალიან კარგად ვიცნობ, ვიცნობ ამ გლეხსაც რომლის პატიოსნებაში ეჭვი არას დროს შემიტანია და არც შემაქვს. მაგრამ მე არა ნაკლებ ვიცნობდი ამ „სულის განმანათლებელ სოფლის მამას“. დიდიხანია სოფელი ითმენდა მის ონავრობას. დიდი და პატარა შეძრწუნებული იყო მისი საქციელით, განსაკუთრებით როდესაც ან ნათლობაში იყო, ქელეხში თუ ქორწილში. საკმარისი იყო ორი ჭიქა გადაეკრა, რომ სოფლის გოგოებს დაჰჭრეოდა და აბლდარძუნებოდა. ბევრჯელ აუტანია სახრეების სიმწვავე, ძალიან ბევრჯელ, თუმცა ოფიციალურად ეს ხმა გარეთ არ გასულა. და აი, ჩანს სოფლის მოთმინებასაც ფიალის პირი შევსებია. ერთს გამოუდვია თავი და ერთს მზგავს ,,აფუნდრუკების'' დროს ხსენებულ პირს ხანჯალი ჩაუცია ესეთი თვითნებობა დასასჯელია, მაგრამ.

მაგალითი საკმარის სურათს იძლევა, რომ სოფელი უპატრონოა, სოფელი საშინელებას განიცდის. ვითომდა ,,განმანათლებელნი'' უმოქმედობისა გამო სასუქ კურატებად გარდაიქმნენ, ცხოვრების ზედმეტ მონაქაფად. მათ ჭირისა და სნეულების მეტიარა შეაქვთ რა სოფლად. არა ჩანს კონტროლი. არა ჩ ნს შესაფერი ინიციატივა, რომ კაცმა კაცური ქუდი დაიხუროს, მღვდელმა თავის ჯვარი და სახარება, რომ დანგრეული, განიავებული და ტანჯული სოფელი სასოების გზაზე დააყენოს. სადაა ძველ მოძღვართა სიყვარული? სადაა წმინდა მუშაობისთვის გატაცება? სადაა ადამიანი, რომელსაც შეეძლოს გაწამებულ სოფელს ენერგია შეჰმატოს, სიცხოველე? არა, სოფელი განწირულია. სოფელი საშინელების ასპარეზად გადაშლილა. სოფლის ჩვენსკენ გამოწვდილი ხელი უსასოობის კვარცხლბეკზე ეხეთქება. და ვინც შიგნით ტრიალებს, ვინც ასე თუ ისე სოფელს მოვლინებია ,,მანუგეშებლად'', იმას დავიწყებია თავისი მისია, სოფლის ჭეშმარიტ კურატად გარდაქმნილა და იმის ნაცვლად, რომ გაზეთები კვირაში ერთხელ მაინც წაუკითხოს და „ქვეყნის ამბავი“ გააგებინოს, ანუგეშოს სოფელი, მას შეაქვს მხოლოდ ერთი ჭირი და ვაება...

ქართლელი.

პ რ ე ს ა

„თემის“ მორიგ ნომერში დაბეჭდილი იყო აქვე მოყვანილი ცნობა ქართველ საზოგადოებისაგან დიდად პატივცემულ ეპისკოპოზ კირიონზედ და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზედ და გამოთქმული იყო ამის შესახებ გაკვირვება, სათაურში: „დაუჯერებელი ამბავი“:

ეპ. კირიონი

მოსკოვის გაზ. „ნოვის“ № 126-ში ვკითხულობთ:

„ეპისკოპოს კირიონს „რეაბილიტაცია“ მიანიჭეს. მას იწვევენ დ მოუკიდებელ კათედრის დასაჭერად „დასვენების“ შემდეგ.

„ეპისკოპოსი კირიონი „გაწბილებული“ იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის მედგარი დაცვით. სხვა სიტყვით, რეაბილიტაცია არგუნებს ქართველ ეკლესიის დამოუკიდებლობის იდეას.

„ჩვენ უნდა თანაუგრძნოთ ამას ისევე, როგორც ამას წინად პრინციპიალურად გადაწყვეტილ საკითხს კავკასიის ერთობის შესახებ.

„დამოუკიდებლობა როგორც ქართველ ეკლესიისა, ისე საზოგადო ცხოვრების შიშსა ჰგვრიდა ჩვენს ბიუროკრატიას ერთი და იგივე მიზეზით: კავკასია, — განაპირა მხარეა, კავკასია საეჭვოა, მას არ ენდობოდნენ. ეჭვი ჰქონდათ — სურვილი აქვს „ჩამოშორდეს“. მის გამო ერთბაც და ავტოკეფალიაც მიაჩნდათ, როგორც „ჩამოშორების“ პირველი ნაბიჯი.

„უნდობლობას ბოლო მოუღო ომმა. კავკასიამ დაამტკიცა, რომ ერთის მისწრაფებით სცოცხლობს დიდ რუსეთთან ერთად და ყველა ის, რაც დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჰქონდათ, ჩაიფუშა, დარჩა მხოლოდ ის, რაც შეიძლება ითქვას მის სასარგებლოდ.

„ერთბაც უკვე დაპირებულია.

„ჯერი მიდგა ეკლესიის დამოუკიდებლობაზე. ეპ. კირიონის მოწვევა ამტკიცებს, რომ ეს საკითხი მორიგი საკითხია“.

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ „ქართველი ეკლესია ფრიად თავისებურია როგორც სამწყსოსა და სამღვდელოების მხრით, ისე ტრადიციებისა და შინაგან წესწყობილების მხრით, ამიტომ მოითხოვს სულ სხვა გამგეობლობას.

„ეძლევა დამოუკიდებლობა კავკასიის საზოგადოებას; უნდა მიეცეს თვითმმართველობა ქართველ ეკლესიასაც“ დასძენს აღ. აღ. სუვორინის გაზეთი.

დაუჯერებელი ამბავი ის იყო, რომ აქამდისაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იდეა თითქმის რევოლიოციონურ იდეად ითვლება და ამისათვის ხალხიც ისჯებოდა, თორემ გასაკვირველი კი არა სავალალოა, რომ ის იდეა ეკლესიის თავისუფლებისა, რომელიც ასულდგმულებს ყოველ მორწმუნე ქართველს, მარტოდენ შეეძლება გაალვიოს ის ეროვნულ-სარწმუნოებრივი ძალა, რომელსაც მხნევრპლად ეწირებოდნენ საუკეთესო შვილნი ჩვენი ისტორიისა რაც შეეხება კირიონის რეაბილიტაციას, ჩვენ არ ვიცით, რამდენადაა იგი ნამდვილი, თუ სადმე რუსეთში გაამწესებენ.

ფრანგების ჯარი ბრძოლის ველზედ ერთობა.

ბ-ნ გრ. დიასამიძის მორიგი „დანოსი“

ჩვენ არ ვიცით ხელის ფათური ბ-ნ გრიგოლისავით სხვის გულში და ამიტომ არ ვიცით რა ბოროტი განზრახულებით ხელმძღვანელობდა ბ-ნი ,,გრუზინი‘, როდესაც სწერდა თავის წერილებს ,,სომხები‘‘, მაგრამ თქმა იმისა, რომ

შეუძლებელია, მართლაც, საზოგადოებრივმა აზრმა ნება დართოს ყოველ მოლაზღანდარე მწერალს თავის პირად გულის მოსაოხნად წერილების წერის დროს შეადაროს თავი ,,გრუზინის‘, ე. ი. ,,ქართველის საიავგანო სახელს.

ვისაც უყვარს თავის ერი, ვინც მოწადინებულია თავის ერის დიად ნაციონალურ იდეალის ჩქარა განხორციელების საქმეს ემსახუროს, ის არ დაუწუნებს სხვა ერის, მით უფრო მეზობლის წმინდათა-წმინდის გაწბილებას, ისიც მესამე პირის გასაგონად!..

მარტო იმას შეუძლიან, ვინც მართლა მესამე პირთათვის და მესამე პირთა სახელით ლაპარაკობს და ისიც ქართველი ერის პირით. შეიძლება გრ. დიასამიძეს არ მოსწონდეს ,,გრუზინის‘‘ წერილი, მაგრამ ეს მაინც უფლებას არ აძლევს ,,დანოსების‘‘ წერას, რადგან ეს პრესისა კი არა, უკანა კარებიდან მოსიარულე ხალხის ხელობა არის.

— —

გრ. დიასამიძე არა მარტო თვითონა სწერს „დანოსებს“, არამედ სხვათა დანოსებსაც აღმოაჩენს ხოლმე და მართლაც სომხურ გაზეთი „ხათაბალაში“ აღმოუჩენია უფრო მდაბალი ხარისხის დაბეზღება პ. გოთუასი ერიციანისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერიციანი აბეზღებს ქართველს სომხებთან ე. ი. სხვა ერის შვილს აბეზღებს თავის ერის შვილებთან და გ. დიასამიძე აბეზღებს თავის ერის შვილს, სხვა ერის შვილებთან.

— —

გაზ. „რეჩი“ ეხება სკანდინავიის სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკებას და ამტკიცებს, რომ ამ პატარა ნეიტრალურ სახელმწიფოთა ინტერესები მოითხოვს სამთა შეთანხმების გამარჯვებასო. ომს უსათუოდ „ახალი ევროპის“ შექმნა მოჰყვება. გერმანიისათვის ახალი ევროპა — ეს მას ჰეგემონიის ქვეშ მყოფი ევროპა არის, სამთა შეთანხმებას კი სულ სხვა განზრახვა აქვსო — ამტკიცებს გაზეთი.

,,სამთა შეთანხმებას სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი ეს ,,ახალი ევროპა‘‘. მას განზრახვა აქვს ააგოს იგი ბრძნულ პოლიტიკურ წონასწორობის საფუძველზე, რომელიც შეუძლებლად გახდის რომელიმე დიდი სახელმწიფოს ჰეგემონიას და ყველა ერთვნებას უკლებლივ მშვიდობიანი და სადი განვითარების გარანტიას მიანიჭებს‘‘.

ლიბერალური გაზეთი არას ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება ეს სასწაულ-მოქმედება. დიპლომატების ცბიერი განცხადება მისთვის სრულიად საკმარისია, რომ ირწმუნოს იგი. („ახ. აზ.“)

ქ რ ო ნ ი კ ა

ამიერ კავკასიის კოოპერატივების წარმომადგენელთა მეორე ყრილობა, რომელიც უნდა მომხდარიყო მომავალ წლის მარტში, მეფის მოადგილის კანცელარიის განკარგულებით ომიანობის გამო გადაიდო სხვა დროისათვის, რომელიც ცალკე იქმნება გამოცხადებული.

— — —

სანოვაგე ჯარისათვის. კავკასიის. სააბრეშუმო სადგურის შენობაში ჯარისათვის ახმობენ კომბოსტოს და კარტოფილს. უკვე მიღებულია 50,000 ფუთი კომბოსტო და 20,000 ფუთი კარტოფილი.

— —

თბილეულობა ჯარისკაცთათვის. ქართულ სას.-სამეურნეო საზოგადოების შუამავლობით კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტმა ჯარისკაცთათვის შეუკვეთა წინდები და ხელთათმანები შემდეგ სოფლებში: ლილოში, ნორიოში და მარტყოფში. უკვე დამზადებულია ათასი წყვილი წინდა და ხელთათმანი.

— —

დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებისა. ქართულ ს.-ს. საზოგადოების საბჭომ წარუდგინა მოხსენება თბილისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებისა იმ თანხით, რომელიც გადადებული აქვს თავად აზნაურობას.

— —

მებაღე-მებოსტნეთა ამხანაგობა. ორთაჭალის და კრწანისის მებაღეებმა დააარსეს ამხანაგობა თავიანთ ნაწარმოების გასასაღებლად. ამხანაგობამ უკვე გახსნა საწყობი მეტეხის ციხის ქვეშ, სადაც იყიდება ყოველგვარი ბოსტნეული ამხანაგობის წევრთა

ბაღებიდან. საწყობის გახსნამდე მებაღეები თავიანთ ნაწარმოებს ჰყიდდნენ კერძო ბაღლების დუქნებში (საკომისიო დუქნები), სადაც ერთი-ორად იყვლიფებოდნენ მებაღეები. თუ, მაგალითად, მებაღის მიერ დაიაქში მიტანილი საქონელი იყიდებოდა მანეთნახევრად, ბაღალი მებაღეს უჩენდა მხოლოდ 1 მანეთს და ამ ფულიდან უჭერდა დაიაქს (საკომისიოს). საამხანაგო საწყობის დაარსებით მებაღეებს საშუალება ეძლევათ თავი დაახწიონ ბაღლების ყველეფას. სამწუხაროდ მებაღეები უნდობლად ეკიდებიან ამხამაგობას, რის გამოც ჯერჯერობით მხოლოდ 10—12 მებაღე იღებს მონაწილეობას ამხანაგობაში.

ᲤᲐᲣᲡᲢᲘ

(გაგრძელება)

ქალაქელი ქალი. ერთი უყურე ამ კოხტა ბიჭებს!
ეს კი სწორედ რომ სასირცხვოდ მრჩება:
მაგათ შეეძლოთ უკეთესი ამოერჩიათ
და ვის დასდევენ, ვის დასდევენ რანაირ ქალებს!

მეორე მოსწავლე (ჰირველს).
ასე ნუ ჰფიცხობ! აგერ, უკან ორნი მოგვდევენ
კარგად ჩაცმულნი; ერთი ჩემი მეზობელია.
მე იმ გოგონას, უნდა გითხრა, ძლიერ მოვსწონვარ.
ისინი მძიმედ მოაბიჯებენ
მაგრამ დაბოლოს ჩვენ მაინც თან გაგვიყოლებენ.

პირველი. არა, ძმობილო, მორცვებისთვის არა მცალიან!
ჰა, ჩქარა თორემ ის ფრინველნი გაფრინდებიან.
რომელი ხელიც შაბათობით ცოცხს ატრიალებს,
ყველაზე ტკბილად კვირაობით მოგიალერსებს.

მოქალაქე. არა, არ მომწონს ეხლანდელი ქალაქის თავი.
და რაკი იქმნა არჩეული, სულ იბერება,
ქალაქისთვის კი რას აკეთებს, არაფერი სჩანს.
განა ყოველდღე უკან-უკან არ მიდის საქმე?
უგონებ მეტად, ვიდრე სხვა დროს, ფულსაც მეტს უთვლი,
ვიდრე როდისმე დაგითვლია და რა გამოდნა?

მათხოვარი (მღერით).
კეთილნო ყრმანო, ტურფა ასულნო,
ლოყა-წითელნო, კოხტად მორთულნო,
მოიღეთ ჩემზე რამ მოწყალება,
შემიმსუბუქეთ მით გაჭირვება.
ნუ ჩამიტარებთ ამაოდ მღერას
ის იშვებს, ვინც კი შესძლებს გაცემას.
ის დღე, ყველა რომ დღესასწაულობს,
დე, იქმნეს ჩემთვის დღედ სამკალისა!

მეორე მოქალაქე. სხვა უკეთესი კვირა-უქმეს რა უნდა იყოს,
თუ არ მსჯელობა ომებსა და ომის ამბებზე,
როს იქ, შორს მხარეს, ოსმალეთში ხალხი ერთმანეთს
ებრძვის და ჰმუსრავს. ფანჯარასთან ზიხარ, ლუდსა ჰსვამ
ჰხედავ, გემები მდინარეში იძირებიან
და საღამოთი, როს ჰბრუნდები სახლში კარგ გულზე,
ჰლოცავ სიმშვიდეს და დროებას მყუდროებისას.

მესამე მოქალაქე. მეც ასე ვფიქრობ, მეგობარო, სწორედ ასეა:
დაე, ისინი ერთმანეთსა თავებს უმტვრევდნენ,
დაე, მათ შორის ყველაფერი აწეწილ იყოს,
ხოლო ჩვენს სახლში ძველებურად დარჩეს ყოველი.

დედაბერი (ქალაქელ ქალს).
ვიშ, რა მორთულხარ, მშვენიერო ნორჩო გოგონავ!
აბა, რომელი ყმაწვილი არ გაგიარშიყდეთ?—
მხოლოდ ნაკლები სიამაყე! ჰო, ასე, კარგი!
რაც კი თქვენა გსურთ, შემიძლიან მე მოგიხერხოთ.

ქალაქელი ქალი. აღათი, წამო! საფრთხილოა ამ ჯადოქართან
ასე ახდილად სიარული! თუმც მართალია,
წმინდა ანდრიას ღამეს მე მან ცოცხლად მიჩვენა

ჩემი მიჯნური მომავალი—

მეორე. მე კი მიჩვენა იგი ბროლში ვით ჯარის-
კაცი,
რომელს მრავალი მეგობარი მამაცი ჰყავდა.
ვათვალიერებ მე მას ირგვლივ, ყოველგან ვე-
ძებ,
მაგრამ ამაოდ, მას არა ჰსურს ჩემთან შეხ-
ვედრა.

ჯარის-კაცები. ციხე-სიმაგრე გალავნიანი,
ქალი ამაყი, ნაზ-გრძნობიანი,
აი, რა მსურდა დამეპყრო მარად
საქმე თუმც მეტად გაბედულია,
მაგრამ ჯილდოც ხომ დიდებულია!
ხმა საყვირისა მოგვაპოვნინებს
როგორც სიხარულს, ეგრეე დამხობას;
ამას ვუწოდებთ იერიშს, ბრძოლას,
ამას ვუწოდებთ ყველა ცხოვრებას.
ციხე და ქალი უნდა დაგვნებდეს,
შრომა თუმც ჩვენი გაბედულია,
მაგრამ ჯილდოც ხომ დიდებულია.

ფაუსტ და **ვაგნერ.**

ფაუსტ. გაზაფხულისა ცხოველმყოფ მზერას
მთლად დაუდვნია თოვლი, ყინული
და თავისუფლად ქვემოჩანჩქარებს
წყარო ანკარა და ნაკადული.
უკვე მწვანდება
მინდვრად იმედის ბედნიერება.
ბერი ზამთარი დასუსტებული
მკაცრს მთის მწვერვალებს მიეჩქარება.
იგი იქიდგან წვრილ ხორხოშელას,
ვით საფრთხობელა ღონე-მიხდილი,
ჯეჯილს მოაფენს, მაგრამ მზის სხივებს
სძულთ დასანახათ თეთრი მანდილი.
ყველგან ლტოლვაა, აღმოცენება,
მზეს ჰსურს სიცოცხლით ველთ ამწვანება.
რაკი წყლის პირად ამ არე-მარეს
ჯერედ ყვავილნი არ გადაშლილან,
მათ ნაცვლად ირგვლივ ადამიანნი
კოხტად მორთულნი, ჰხედავ, გაშლილან.
გაჰხედე ქალაქს ამ სიმაღლიდგან,
ხალხი მოილტვის, მოეჩქარება;
დღესასწაულობს ღვთისა აღდგომას!
რადგან თვით სდგება, ამ დროს ცოცხლდება.
ყველა მათგანი დიდი-პატარა
მზის ცხოველ სხივზე სიამით თბება.
სულის შემხუთველს ბნელს სახლებიდგან,
სახელოსნოდგან, ვიწრო სარკმლიდგან,
ახორხილ ქუჩის შენობებიდგან
წმინდა საყდრების ბნელ საკნებიდგინ
ველანი მზის სხივს მოუზიდნია.
და შვებით გარედ გამოფენილან.
გაჰხედე ერთი, ხალხი რა ცოცხლად
ბაღსა, მინდორს, ბორცვს მოსდებია.
იმ მდინარესა სიგრძე-სიგანით
რამდენი ნავი მოსცურებია.
ის ერთი თითქმის ჩაძირვას ლამობს,
იმდენი სულნი ზედ დასდებიან.
თვით მთის შორეულს ბილიკებიდგან
ფერად სამოსში ყრმები სჩნდებიან.
მესმის, სოფელი თვისის მცხოვრებით
ჟივილ-ხივილით უკვე ხმაურობს;
ხალხის ნამდვილი აქ სამოთხეა და წმინდა
ზეცა.
დიდი-პატარა აწ კმაყოფილი
ჰხაროობს, ნავარდობს, დღესასწაულობს
აქ თვით კაცი ვარ, ადამიანი—
ნება მაქვს ვიყო ესრეთად მეცა!

ვაგნერ. თქვენთან ბატონო დოქტორო, დიდად სა-
ამო არის,
პატივსადები და სასარგებლო ეს სეირნობა,
მაგრამ მე მარტო ჩემს თავს მათ შორის სულ
არ გავრევდი,
რადგან ყოველგვარ სიტლანქისადმი დიდი
მაქვს მტრობა.
ეს ჟრიამული, საკრავთ წუწუნი, ეს თამა-
შობა
მძულს მეზიზღება!
ღრიანცელობენ, თითქოს ბოროტ სულს ფეხი
დაედგას

და უწოდებენ ამას სიხარულს
და უწოდებენ ამას სიმღერას!

გლეხები (ცაცხვების ქვეშ).

ცეკვა და სიმღერა.

მწყემსი ცეკვისთვის ემზადებოდა
ჭრელი სამოსით და ყვავილებით
იყო მორთული და მოკაზმული;
ცაცხვის ქვეშ უკვე წრე შემოევლოთ,
იყო თამაში გაჩაღებული
თვით სიგიჟემდის გატაცებული.

როს წრეში გახტა გამალებული,
ქალს დაეჯახა იდაყვით უცბად;
კოპწია გოგო მოუტრიალდა
და ლოხრა მწყემსსა განა თუ მტრულად
„ეს მოგივიდა, ბიჭო, სეპრულად!"

მაინც კვლავ ცქვიტად ბოლომდის მიჰყავთ,
ცეკვენ მარცხნითა, ცეკვენ მარჯვნითა.
ფრიალებს კაბა, გაწითლდნენ, დასცხათ
და თან უჭერენ ხელსა ხელითა.
თან ეხლებიან თეძოს მკლავითა.

,,ვერ დამარწმუნებ, იყო ერთგული,
ვით ზოგიერთის დანიშნულს სჯერა
და დარჩომილა მოტყუებული,
მაჯნურისაგან მიტოვებული"
მაგრამ იტყუებს ის ქალსა ცალკე,
და ცაცხვებ ქვეშ კი ისმის სიმღერა,
საკრავთ გუგუნი და საკრავთ ჟღერა!

მოხუცი გლეხი. თქვენგან, ბატონო დოქტორო, ეს საამოდ გვრჩება,
რომ ხალხის წრეში გარევა არ იუკადრისეთ
და უდიდესად განსწავლულმა თვალით დაგვხედეთ.
მაშ მიიძღვენით ეს ჯამთასი ლუდით აღვსილი.
გაწვდით და თანაც გისურვებთ, რომ ამან არა თუ
მარტო წყურვილი მოგიკლათ თქვენ, არამედ მისი
ყოველი წვეთი სიცოცხლის დღეთ გარდეგექ-ციოთ.

ფაუსტ. ვიღებ რა ხელში საამო სასმელს,
მადლობას გწირავთ და გადღეგძელებთ,

(ხალხი მის გარშემო თავს იყრის).

მოხუცი გრეხი. სიმართლემცა რომ კარგი ჰქენით აქ მოსვლით,
რომ ამ გხიარულს დღესასწაულს ყველას გვეჩვენეთ.
თუმცა უწინაც გაჭირვების დროს ჩვენი თავი
არ დაგვიწყნიათ. აქ თქვენს ირგვლივ მრავალნი სდგენან
რომელ სიცოცხლე მამათქვენმა ჭირს გამოსტაცა,
და მანვე იმ ჭირს გადამდებსა ბოლო მოუღო.
თქვენ იმ დროს, ჯერედ ახალგაზრდა, ავადმყოფებთან
იარებოდით. ბევრი გვამი დაგვიმარხია,
მაგრამ თქვენ დარჩით მთლად უვნებლად, თუმც გარდიტანეთ
მრავალი განცდა დამხმარებელს დამხმარებელი
გფარვიდა რჩეულს და უვნებლად ის გამყოფებდა.

ყველანი. დღეგრძელი იყოს დიდებული ადამიანი,
რომ კვლავ შეძლოს დახმარება ჩვენის ხალხისა!

ფაუსტ. მას დიადს თავი მოუდრიკეთ, რომელიც მაღლით
ჩვენ დახმარებას გვასწავლის და შველას გვამადლებს.

(ვაგნერთან ერთად განზე გადის).

ვაგნერ. რას უნდა ჰგრძნობდე, დიდებულო ადამიანო,

ხალხი რომ ასე გეპყრობათ თქვენ პატივისცე-
მით!
ბედნიერია, ვინც კი ასე თავის ნიჭიდან
ნაყოფს მოიმკის, ჰნახავს ამგვარ სარგებლო-
ბასა.
თქვენზე უთითებს მამა თვის შვილს, ერთი-
ერთმანეთს
ჰკითხავენ თქვენზე, ისწრაფიან თქვენს სანახა-
ვად.
საკრავებს უცებ აჩუმებენ, აღარ ცეკვავენ.
ჩაუვლით გვერდით და ყველანი რიგში დგე-
ბიან
ქუდებს ისვრიან და ცოტაღა აკლია მხოლოდ
რომ მოგიყარონ მუხლი მდაბლად, ვითარცა
წმინდანს.

ა. შ.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა

1915 წ.

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურ და სალიტერატურო

წელიწადი მეოთხე.

ჟურნალ „ვლდ ი“-ზედ.

წელიწადი მეოთხე.

წლიური ფასი ხუთი მან., ექვსი თვით სამი მან.

ცალკე ნომერი ორი შაური.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა არ. მ. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი № 1.